

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით №2/4/1412 საქმეზე „ირაკლი ჯუღელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის (თანასწორობის უფლება) პირველ პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის მე-2 ნაწილი. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად ცნობილია 2021 წლის პირველი ივნისიდან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ნორმის არაკონსტიტუციურობას განაპირობებს ის გარემოება, რომ: ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის მე-2 ნაწილით დიფერენცირებული მოპყრობა არის გათვალისწინებული იმ პირის მიმართ, რომლის დაკავების ვადის გასვლა სასამართლოს სამუშაო საათებს ემთხვევა და იმ პირის მიმართ, რომლის დაკავების ვადის გასვლა სასამართლოს არასამუშაო საათებს ემთხვევა;¹ ბ) ის გარემოება, რომ პირთა ნაწილის დაკავების ვადის გასვლა სასამართლოს სამუშაო დროს ემთხვევა, ვერ გამორიცხავს მათ არსებითად თანასწორობას იმ პირთა მიმართ, რომელთა დაკავების ვადის გასვლა სასამართლოს არასამუშაო დროს ემთხვევა. შესაბამისად, აღნიშნული პირები არსებითად თანასწორნი არიან;² გ) გარდა ამისა, არ არსებობს გარემოება, რომელიც მსგავსი საკანონმდებლო რეგულირების რაციონალობაზე მიუთითებდა და შესაბამისად, აღნიშნული ნორმა არ პასუხობს რაციონალური დიფერენცირების ტესტის მოთხოვნებს.³

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, აღნიშნულ პირთა მიმართ თანასწორი მოპყრობის უზრუნველსაყოფად უნდა შეიქმნას ისეთი საკანონმდებლო ნორმა, რომლითაც განისაზღვრება ამ პირთა მიმართ დაკავებისა და სასამართლოში წარდგენის ერთნაირი ვადები.

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ირაკლი ჯუღელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, (II-11,12), იხ:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5073581?publication=0>, ბოლოს ნანახია: 19.04.2021.

² Ibid. II-14, 15.

³ Ibid. II-25.

ამრიგად, წარმოდგენილი კანონპროექტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანას ისახავს მიზნად.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ვინაიდან ადმინისტრაციული დაკავებისა და ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირის სასამართლოში წარდგენის ვადები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განისაზღვრება, აუცილებელია, შესაბამისი ცვლილება შევიდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლი მოყვანილ იქნება შესაბამისობაში საქართველოს კონსტიტუციასთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით ცვლილება შედის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლში და დგინდება, რომ ადმინისტრაციული დაკავების დროს დაკავებული პირი პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს 48 საათისა, წარედგინება სასამართლოს. თუ დაკავებული პირი ამ ვადაში არ წარედგინა სასამართლოს, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. სასამართლოში წარდგენამდე დაკავებული პირი უფლებამოსილი ორგანოს მიერ შეიძლება მოთავსდეს დროებითი მოთავსების იზოლატორში.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება უზრუნველყოფს პირის დაკავებისა და სასამართლოში წარდგენის ერთნაირი ვადის დადგენას და, ამდენად, თანასწორ მოპყრობას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირთა ჯგუფების მიმართ.

ამასთანავე, კანონპროექტით გათვალისწინებული საკანონმდებლო ცვლილება სრულად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის თანახმადაც, დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არაუგვიანეს 48 საათისა.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი საქართველოს მთავრობის მიერ არ არის ინიცირებული.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

ვინაიდან წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილება გამომდინარეობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებიდან, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის მე-2 ნაწილს ძალადაკარგულად აცხადებს 2021 წლის 1 ივნისიდან, აღნიშნული ცვლილება ამოქმედდება 2021 წლის 1 ივნისიდან. კანონპროექტი არ ითვალისწინებს უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ვინაიდან წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, საჭიროა, რომ ამოქმედდეს 2021 წლის 1 ივნისიდან, მიზანშეწონილია კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები შესაბამისი უწყებებისთვის (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო) გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში დაიფარება.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ვინაიდან კანონპროექტის მიხედვით იცვლება ადმინისტრაციული დაკავებისა და სასამართლოში წარდგენის ვადა, შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი ფინანსური ხარჯების გაღება დაკავებული პირის შესაბამის დაწესებულებაში ყოფნასთან დაკავშირებით. კანონპროექტის მიღების შედეგად გამოწვეულ ხარჯებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო)

მათთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში დაფარავენ, აღნიშნული ხარჯების ოდენობა კი დამოკიდებული იქნება სამართალდარღვევათა რაოდენობაზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს იმ პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომლებსაც შეეხება აღნიშნული კანონპროექტი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი და არ იცვლება არსებული გადასახადები, მოსაკრებლები და სხვა სახის გადასახდელები.

ბ1) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის გავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი

ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მომზადება არ არის დაკავშირებული ასეთ ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

და) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრი ანრი ოხანაშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრები: ანრი ოხანაშვილი, დავით მათიკაშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, რატი იონათამიშვილი, გიორგი ამილახვარი, ალუდა ლუდუშაური, გურამ მაჭარაშვილი, კახა კახიშვილი.